საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ზაჰესის დასახლება, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა №7, (საკადასტრო კოდი -72.12.02.508), შპს "ჯი-ეს-ემ ტრანსი"-ს კუთვნილი საწყობის პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის- ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების შესახებ"

საწყობის არქიტექტურული პროექტი დამუშავებულია არქიტექტორ ა. ქაშიაშვილის მიერ.

საპროექტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის, შპს "ჯი-ეს-ემ ტრანსი"-ს მიერ მოწოდებული საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 13-ე მუხლის მიხედვით არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და იძლევა ექსპერტიზის ჩატარების საშუალებას. საექსპერტო დასკვნა მოიცავს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით აღნიშნული პროექტის ნაწილების შეფასებას. ასევე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის #732 დადგენილებით დამტკიცებულ ,,მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობას.

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს წინამდებარე არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან ტექნიკური რაგლამენტის- ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას, ასევე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის #732 დადგენილებით დამტკიცებულ ,,მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

მ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა მოთხოვნების შეფასებას.

ტერმინები და განმარტებები

ტერმინი# განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები
2. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პროექტის აღწერილობა:

· საპროექტო მიწის ნაკვეთის მდებარეობა - ქალაქი თბილისი, ზაჰესის დასახლება, მიხეილ

წინამძღვრიშვილის ქუჩა №7; ნაკვეთის საკადასტრო კოდი - 72.12.02.508 (6800.00 კვ.მ)
· მესაკუთრე - შპს "ჯი-ეს-ემ ტრანსი"
· მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები -
ბრძანება № 6266610; გაცემის თარიღი - 27/12/2022

ტერიტორიაზე საპროექტო შენობის განთავსება დაგეგმილია უკვე არსებული დამხმარე სამეურნეო შენობის გვერდით დასავლეთის მიმართულებიდან რომელსაც ასევე დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება შპს "ჯი-ეს-ემ "ტრანსის 72.12.02.507 მიწის ნაკვეთი მშენებარე სასაწყობე შენობით. სამხრეთის მხრიდან ტერიტორია მოშანდაკებულია და მისაწვდომია სახანძრო და სამაშველო ტექნიკის მანევრირებისათვის.

ფუნქციური დანიშნულებით შენობა წარმოადგენს ერთსართულიან სასაწყობე ნაგებობას სადაც სპეციალურ პალეტებზე გათვალისწინებულია ლითონის ავტოსათადარიგო ნაწილების დასაწყობება.

შენობას მთავარი ფასადის მხარეს აქვს სამეურნეო დანიშნულების ორი კარი,ხოლო მოპირდაპირე მხარეს გათვალისწინებულია საევაკუაციო გასასვლელი კარი ეზოს მხარეს. სტრუქტურულად შენობა წარმოადგენს ერთსართულიან -ერთსივრციან ლითონის კარკასულ ნაგებობას რომელიც შემოსილია სენდვიჩპანელებით.
(აბსოლუტური ნულოვანი ნიშნული - 482.42)

ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს დაკავებულობების კლასიფიცირებას მე-3 თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302 ქვეთავის მოთხოვნებს.

დაკავებულობა, რომელიც გამოყენებულია პროექტში:

- **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (0.00 ნიშნულზე)** -შეესაბამება 311-ე ქვეთავს, რომლის მიხედვითაც ამ ჯგუფს განეკუთვნება ლითონის ნაწილების სასაწყობო ფართობები.
-

შენობაში არსებული დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის მიხედვით. კერძოდ:

ა) მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2 სივრცის მთლიანი ფართობი გაყოფილია 46,5-ზე;

(0.00 ნიშნული) 464,10 კვ.მ/46,5=10,0 დ.დ

დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2. კონსტრუქციის ტიპის შეფასება

საპროექტო შენობის კონსტრუქციული სქემა შეესაბამება V-B კონსტრუქციის ტიპს, რომელიც შერჩეულია შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულად აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მოთხოვნებს. შენობის კონსტრუქციული ელემენტები აკმაყოფილებს 601-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესები“-ს მიხედვით.

3. სიმაღლის და ფართობის შეფასება

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების მე-5 თავის 503-ე ცხრილის მიხედვით, რომლის თანახმად დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი. შენობის დასაშვები სიმაღლე მიწის დონიდან არის 15.20 მ, ხოლო მოცემული საპროექტო შენობის სახურავის ყველაზე მაღალი ნიშნული მდებარეობს მიწის დონიდან +8,50 მ სიმაღლეზე.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შეესაბამება შერჩეულ კონსტრუქციის ტიპს და აკმაყოფილებს წესების 503-ე ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

გასასვლელ სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე 10 თავის შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობის მოცულობიდან და სართულზე დაკავაბულობის დატვირთვიდან გამომდინარე, 1021.2(2) ცხრილის შესაბამისად ესაჭიროება ორი გასასვლელის მოწყობა, რაც დაცულია და შეესაბამება წესების მე-10 თავის 1015-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

თითოეული გასასვლელის გზა-კარი, გარე პანდუსის და ჩაუხერგავი ბილიკის გავლით უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს, რაც აკმაყოფილებს წესების 1027 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელიდან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესები“-ს 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება

საპროექტო შენობის გასასვლელი გზა-კარი მოწყობილია 1008-ე ქვეთავის შესაბამისად და ასევე აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან 602 ცხრილის მიხედვით გარე კედელს, სადაც ჩასმულია გასასვლელი გზა-კარი, არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი. გზა-კიბეში შემავალი და გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008-ე ქვეთავის შესაბამისად. **გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავის მიხედვით და 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82 სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს და აკმაყოფილებს 1008 ქვეთავის მოხოვნებს.**

6. მისაწვდომობის შეფასება

„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის და „წესები“-ს მე-11 თავის (1104 ქვეთავი) შესაბამისად საპროექტო შენობას გააჩნია მისაწვდომი სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი პანდუსი (8%). მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური სიგანე შენობის გარეთ არის 1200 მმ, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნებს. შშმ პირთა გადაადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე და პირიქით, შესაძლებელია დაუბრკოლებლად.

შენობის სასაწყობო ფართობში ყველა ტვირთის დატვირთვა და გადმოტვირთვა ხორციელდება სპეციალური მტვირთავი მანქანა-მექანიზმის საშუალებით. აქედან გამომდინარე ამ სივრცეში შეუძლებელია იმოძრაონ და იმუშაონ შშმ პირებმა. მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

„ე-ა“ ღერძებს შორის მოქცეულ გარე კედელს 602 და 705.8 ცხრილის მიხედვით მოეთხოვება ორ საათიანი ცეცხლმედეგობა, რაც პროექტში გათვალისწინებულია. ხოლო დანარჩენ კედლებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობა. აღნიშნულ კედლებში დაცულია მოსაწყობი ღიობების პროცენტული რაოდენობა 705.8 ცხრილის მიხედვით.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლის მოსაწყობი ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

საპროექტო შენობის ორქანობიანი სახურავის ანაწყობები შეესაბამება 1505.1 ქვეთავის 1505.3 B კლასს და წარმოადგენს რკინის კარკასზე მოწყობილ სენდვიჩპანელებს. 1505.3 ქვეთავის მიხედვით A კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება ისეთი სახურავი, რომელიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას. შენობა არ საჭიროებს პარაპეტის მოწყობას.

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესები“-ს მოთხოვნებს.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო შენობის ფართობი არის 464.1 კვ.მ. აქედან გამომდინარე, ფართობის სიმცირის გამო ცეცხლმედეგი გამმიჯნავების მოწყობა საჭიროებას არ წარმოადგენს.

10. ხანძრის დაცვის სისტემების შეფასება

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობიდან და ფართობისა და სიმაღლიდან გამომდინარე შენობა უნდა აღიჭურვოს ხანძრისგან დაცვის შემდეგი სისტემებით: ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემები, კვამლის(ცეცხლის) ავტომატური საკონტროლო სისტემები და ხელის ცეცხლმაქრები. 907.5 ქვეთავის თანახმად სწ-2 და სქ ჯგუფის დაკავებულობებში მოწყობილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი და კვამლგამწოვი სისტემა. 906.1 ქვეთავის 1 პუნქტის თანახმად სწ-2 ჯგუფის დაკავებულობები აღჭურვილია ხელის ცეცხლმაქრებით. 906.3(1) ცხრილის თანახმად ცეცხლსაქრობები განთავსდება შენობის ყოველ 23 მეტრში. III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემა უნდა მოეწყოს სწ-2 ფართობში.

ხანძრის დაცვის სისტემების მოწყობის აუცილებლობა განსაზღვრულია „წესები“-ს მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

შენობის დაკავებულობის ტიპიდან გამომდინარე (სწ-2) მოთხოვნილი წყალსადენი სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს, დაკმაყოფილებულია საპროექტო შენობის მიმდებარედ არსებულ შენობაში. წყლის დასალევი შადრევნები 15 ან ნაკლები დამკავებლისთვის არ არის აუცილებელი;

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესები“-ის მიხედვით.

*დასკვნა

ზემოთ აღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ **ქ. თბილისი, ზაჰესის დასახლება, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა №7, (საკადასტრო კოდი - 72.12.02.508), შპს "ჯი-ეს-ემ ტრანსი"-ს კუთვნილი საწყობის პროექტი** შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“. ასევე შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის #732 დადგენილებით დამტკიცებულ „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ტექნიკურ რეგლამენტთან. საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია შესაბამის ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისათვის საჭირო ყველა ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ვასილ მაისურაძე

19.03.2023


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ვასილ
VASIL
გვარი / LAST NAME
მაისურაძე
MAISURADZE
ქვე. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
01019033521
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
14.01.1962
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
15.08.2024
ბარათის No / CARD No
13IF46091
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ონი
ONI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
15.08.2014
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE013IF46091501019033521<<<<
6201142M2408150GE0<<<<<<<<<<<5
MAISURADZE<<VASIL<<<<<<<<<<<<<

დიპლომი

ЛВ № 058757

ეს დიპლომი მიეცა ვასილ ნიკოლოზის ძე მაისურაძეს

მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1985 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ. „7" VII გადაწყვეტილებით ვ.ნ. მაისურაძეს მიენიჭა არქიტექტორის

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1985 წ. „30" IX

სარეგისტრაციო № 2501

Грузинский ш.

ДИПЛОМ

ЛВ № 058757

Настоящий диплом выдан Маисурадзе Василию Николаевичу

в том, что он в 1980 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1985 году окончил полный курс названного института

по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „7" июля 1985 г.

Маисурадзе В.Н.

присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „30" IX 1985 г.

Регистрационный № 2501

Московская типография Гознака. 1983.

შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

სახელი, გვარი	ვასილ მაისურაძე
პროფესია (სპეციალობა):	არქიტექტორი (ქალაქგეგმარება)
დაბადების თარიღი:	14. 01. 1962 წ
პროფესიული მუშაობის სტაჟი	33 წელი (1985 წლიდან)
ეროვნება:	ქართველი
საქმიანობის დეტალური აღწერა	სხვადასხვა ფუნქციის შენობა-ნაგებობების დაპროექტება; ქალაქგეგმარებითი პროექტები; საექსპერტო დასკვნები.
განათლება: 1980-1985 წ.	უმაღლესი. საქართველის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი. დიპლომი - ლვ №058757; Riba Certificate – To certify the successful completion of the education courses; საქართველოს არქიტექტორთა კავშირის საკვალიფიკაციო სერთიფიკატი RA-0213;
ძირითადი კვალიფიკაციები: 1985 წლიდან დღემდე	1985-1990 წ. - სსგ „საქზღვისნაპირდაცვა”, სსბ “საქნაპირპროექტი” – წამყვანი ინჟინერ-არქიტექტორი; 1993 წლიდან - "თბილქალაქპროექტი"(ქალაქგეგმარების სამმართველო) – არქიტექტორი; 2006 წლიდან - ი.მ. „ვასილ მაისურაძე”-ს დირექტორი; 2013 - წლიდან დღემდე შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამშენებლო სამმართველოს საპროექტო სამსახურის მთ. სპეციალისტი
პროფესიული გამოცდილება: 1985 წლიდან დღემდე	ძირითადი საავტორო ობიექტები:

1. ადმინისტრაციული შენობები გაგრაში (მდ. ხიფსტაზე და იფნარში)
2. სანაპირო კვლევითი ლაბორატორიული კორპუსი ბიჭვინთაში;
3. სანაპირო კვლევითი ლაბორატორიული კორპუსი ოჩამჩირეში;
4. სანაპირო კვლევითი ლაბორატორიული კორპუსი ფოთში (რეკონსტრუქცია);
5. ქ. გაგრაში იფნარის კარიერზე მისასვლელი გზის პროექტი;

6. ქ. გაგრაში მდ. ჟოეკვარას ხეობის კეთილმოწყობის პროექტი;
7. სამრეწველო შენობა-ნაგებობა მდ. მაჭარაზე, სოხუმის რაიონში;
8. სანაპირო ზოლის პლაჟების კეთილმოწყობის პროექტები ქ. გაგრაში, ბიჭვინთაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, ქობულეთში, ბათუმში, ჩაქვში...;
9. "ექსიმბანკი"-ს (ახლანდელი "ტაობანკი") ცენტრალური ოფისის შენობის პროექტი ქ. თბილისში, წერეთლის გამზ. №114;
10. საცხოვრებელი კომპლექსის დაგეგმარება ზემო ვაკეში, მარაბდელების ქუჩის მიმდებარედ;
11. ქ. თბილისის გენერალური გეგმის მოსამზადებელი სამუშაოები;
12. კულტურისა და დასვენების პარკის რეკონსტრუქციის პროექტი ქ. მარნეულში;
13. სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ცენტრი ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ-ზე;
14. მრავალფუნქციური ცენტრი ქ. თბილისში, ფეიქრების ქ. №12-ში;
15. მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის პროექტი ბახტრიონის და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარედ;
16. მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის პროექტი ნუცუბიძის პლატო II მკ.რ. II კვ. კორპუსი №2-ის მიმდებარედ;
17. მრავალფუნქციური ცენტრის პროექტი ქ. ადიგენში;
18. მრავალფუნქციური ცენტრის პროექტი ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი, მუხათგვერდის ხიდთან;
19. საცხოვრებელი კორპუსის რეკონსტრუქციის პროექტი დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქ. №32;
20. შ.პ.ს. „ბენეფისი"-ს კუთვნილი მრავალფუნქციური შენობის პროექტი ქ. თბილისი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ.№10;
21. ქ. თბილისში, ცემის ქ. №3-ში (ელექტროტექნიკური ქარხნის ტერიტორიაზე) არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი;
22. შ.პ.ს. „საირმე მინერალ ვოთერს"-ის შენობის რეკონსტრუქციის პროექტი დაბა საირმეში;
23. შ.პ.ს. „საირემე მინერალ ვოთერს"-ის საწყობის პროექტი თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელ კვახჭირში;
24. სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოქალაქევის საჯარო სკოლის პროექტი (კონკურსში გამარჯვებული; ზ. შავაძე და ა. ხეჩუაშვილთან ერთად)
25. ინდივიდუალური საცხოვრებელი და სააგარაკე სახლების (რეკონსტრუქციის) პროექტები თბილისში და საქართველოს რეგიონებში.

26. შსს ადმინისტრაციული კორპუსი ქ.თბილისში, გულუას ქ.#6-ში;
27. ოთხდონიანი ავტოსადგომის პროექტი ქ.თბილისში, გულუას ქ.#10-ში;
28. მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების პროექტები შსს თანამშრომლებისთვის: ქ. თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში და ზუგდიდში;
29. შსს ადმინისტრაციული შენობების რეკონსტრუქციის პროექტები

ენები:

	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება:

მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.



სპეციალისტი: ვასილ მაისურაძე

22. 10. 2018